ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 125. კვირა, 7 იკნისი 1909 წ. დამატების № 22.

ჭრუღი ბერას ომი ქისტებთან.

ხალხური

(ჩაწერილი სოფ. გოსტიბეში).

(შემდეგი *)

ასე, ამ გვარად ღილღველნი
იყვნიან სამზადისშია,
თან მტერს მუქარას ეუბლიან,
რადგან არ ჰქონდათ შიშია;
საქმე ვერაით მოაწყეს,
როგორც წესი და რიგია.

ჭრუღი ბერაი ჩოხელი
კარგათ ვერ გამოგიცდია:
როდესაც შემოლამდება,
დადგება კარგა ბინდია,
მოგივალთ, მოგიცოცდებით
მაგ თქვენი სოფლის ძირშია.

რასაც ბერაი იქადდა,
მართლა სულ ყველა ისია:
მივიდნენ, კედელს მიეკვრნენ,
როგორც წებო და ფისია.

დარბაზს გამოჩნდა ჯალაბნი,
უჭვრიტეს სანათურითა.
ბაცანკალს ისხდნენ ქისტები
სახითა ვაჟკაცურითა;
ხმალ და ხანჯალში ჩასხმულნი
საომრათ გალესულითა.
თამარიძე და ბერაი
თვალით უმზერენ მტრულითა;
ქისტთ ვერაფერი შეიტყეს
მისვლა იმ ორი სტუმრისა,

ტფ. სახალხო უნივერსიტეტის სკოლეგის მოსწავლენი

(ამას წინად ეს მოსწავლენი მასწავლებლებითურთ ავჭალაში იყვნენ წყლის მილის მაწყობილებათა დასათვალიერებლად და იქ საერთო სურათი გადაიღეს)

ღილღველნი ემზადებიან,
მათ მტერსაც გაუღვიძია,
არ ნელა მიისწრაფიან,
თოფები მხარზე ჰკიდია.
ბერაი ამბობს: ჰე, ქისტო,
ჩვენი დაჭერა გითქვია;
ბიძის ძენი რომ წამართვი;
ჯერ ის არ გადაგიხდია;

*) იხ. „დროების“ დამატება, № 21

თამარიძე და ბერაი
სავსე ქისტების შურითა,
იცოცვენ, კოშკთან მივიდნენ
ფარულათ სიარულითა;
ასვლაი უჭირთ ციხეზედ
იარაღითა სრულითა.
იხმარეს საშუალება
ომისა სიყვარულითა:
კოშკსა მიჰყუდეს ლატანი,
მაზედ ავიდნენ ცურვითა.

ვერცა რა თვალითა ნახეს,
ვერც გაიგონეს ყურითა;
თამარიძე ეტყვის ბერას:
ფარგალი გაჰწი განზედა,
მაიგდე ხელშია თოფი
გადაკიდული მხარზედა;
ჩონგურს რომ უკრავს, მე ვესვრი,
წავაწვენ ბაცანკალზედა,
სხვას რომელსც გინდა ესროლე,
სისხლი გაუშროთ წამზედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამბაჩა დამბაჩას მოჰყვეს,
მკვდარი დაუდვათ მკვდარზედა.
თუ ვინმე სიკვდილს გადარჩა
და გამოვიდა კარზედა, —
სინამდე თავსა უშველოთ,
ჩავიდეთ მოედანზედა;
გამოგვიდგების დევარი,
შეგვიდგებიან კვალზედა,
თუ მოგვეწივნეს, ვიბრძოლოთ,
საქმე მივანდოთ ხმალზედა,
ან გადაურჩეთ ცოცხლები,
ან ხელი დაგვჭრან მკლავზედა.
უეცრათ გატყვრა მაჟარი
ნასროლი ზედი-ზედაო,
თოფის ხმას თოფის ხმა მოჰყვა,
ტყვიაი, ტყვიაზედაო.
ქისტი ბაცანკალს ნაჯდომი
ზედ წაწვა ჩონგურზედაო;
ერთს მოხვდა გულის კოვზზედა,
მეორეს ულვაშზედაო,
აქა მესამე სულს ებრძვის,
ფართხულობს კერაზედაო;
დაეცა მათსა ოჯახსა
დიდი შიში და ელდაო,
ზოგს ცოლი გადაეხვია,
ზოგსა მშობელი დედაო.
თამარიძე და ბერაი
მარდათ ჩავლიან ხევსაო,
ჩქარა ჩამოხტენ ცხიდან,
უკანვე გაიქცესაო.
ხევსურს და გუდამაყრელსა
მდევარი ადევნესაო,
ძმობილნი შორს ვერ წავლიან
და იქვე ჩასაფრდესაო.
წინ გაიცილეს მდევარნი,
მიისწრაფვიან გზაზედა;
ის არ იციან შმაგებმა,
მტერს ველარ სდევენ კვალზედა;
ჩასაფრებულნი კი სხედან
ხიდის ქვეშ ფილაქანზედა;
აღარ წავლიან მით გზითა,
გაიპარვიან სხვაზედა.
ქისტ გუას დაეგვიანა
ლურჯაის შეკმაზვაზედა;
ქორულ მააფრენს ლურჯასა
სახელ განთქმული ცდაზედა;
წინ მონამძღვარი ფინია
რაღასაც ჩაჰყეფს წყალზედა;
გუამ ცხენი შააჩერა,
შემაღლდა აბჟანდაზედა.
ბერამაც ერთი ესროლა,
მოარტყა ძუძუს თავზედა, —
სისხლისა ღვარი წავიდა,
იხარეს მის თოფ-ხმალზედა.
მათი მდევარი ქისტებიც
დაბრუნდნენ თოფის ხმაზედა;
მოვიდნენ, გუას დახედეს,
იწყლულეს სანახავზედა.
წინ მიმავალი გუაი
უკან წაიღეს ჩქარაო;
ქისტთა თქვეს: საქმე გაჭირდა,
ეს დამარცხებაც კმარაო.
ავჩქარდეთ, შინავ მივიქცეთ,
გუას არ გავყვეთ თანაო;
ერთი მოგვიკლეს ესაი,
სამი სხვაც ამისთანაო;
ოცი კაი ყმა შარშანა,
ეს ოთხი ამაღამაო;
სულ ამ წელიწადს გვეკითხა,
რაც ტყვენი მოგვიპარავო.
ამ ლაპარაკმა ქისტები
სოფელში მიიყვანაო;
მათი ხმა აღარ ისმოდა,
მტერმა მით გაიხარაო;
თამარიძე და ბერაი
უფალმა დაიფარაო.
ღილღოს მდინარეს შამოჰყვნენ,
იარეს თანის-თანაო;
მოვიდიან ჯუთის წყალზედ,
თენებამც მაატანაო;



დეპუტატი პერგამენტი
(ამ ერთი თვის წინად გარდაიცვალა)

ამ ღამის უძილობამა
თვალს ძალა დაატანაო.
გზასა განშორდნენ, მივიდნენ,
სად ვერ მიაგნებს მგზავრია,
ჩამოსხდნენ მწვანე კორდზედა,
დაიწყეს საუბარია;
გათენდა, კარგათ გაშინჯეს
გუას თოფი და ხმალია.
თამარიძემ სთქვა: ძმობილო,
ორივე ბარდაბარია.
ხმალი თამარიძეს ერგო,
თავ-ბოლო ვერცხლიანია;
თოფი ბერს გუასეული
ოქროს სევადიანია,
ოთხი სალტე აქვს ვერცხლისა,
თავს აკრავს სპილოს ძვალია,
ყაწიმი, საპირი წამლე,
ყველა ძვირფასიანია.
უბნობენ: ღმერთმა ჩვენ მოგვცა
ინისგან ნაბოძვარია.
ძილმა და დაღლილობამა.
მალე წაართვა თავია,
მიდეს თავები ქუჩაზედ, *)
ზედ ურო ბალახი ამოდის.
ორთავ მოხუჭეს თვალია,
ძილს დიდხანს თვალი არ მისცეს
ეძინათ მცირე ხანია.
ორ ჟამს ეძინათ, წამოდგნენ,
მზე ამშვენებდა არესა,
მდელოზედ ნამი შეეშრო,
რა ნახეს, გაიხარესა.
გადვიდნენ ჯუთის წყალზედა,
ხელ პირი დაიბანესა;
ჩამოსხდნენ ქორაფის ქვეშა
წყლის პირს მშვენიერ მწვანესა;
ხალი და ძველი დუმაი, —
მოჰშიე ბიყო, — ჭამესა;
წყალი ცოტა სვეს, დუმაი
მალი-მალ შაითალესა;
ომის დროს წესად ასე აქვთ
ხევსურებსა და ფშავლებსა, —
შიშის დროს მთიელ ქართველი
წყალს დღეში ორჯელ დაჭლევსა;
ამბობენ, წყალი მუხლს მოჰკვეთს,
გულს დაჭბნედს, დააწყალებსა;
მამაპაპათ ჩვეულება
მათც ასე მოიხმარესა;
არც ძველი დუმა, არც ხალი,
არც ერთი დაიძალესა,
ბერამ და თამარიძემა
დრო ასე გაატარესა.
ამ ომში და მგზავრობაში
მათ დაჰყვეს ერთი კვირია,
მათთვის არც თავის საფარი,
არც თავის დროზედ ძილია;
ეხლა სამშობლოს მიდიან,
იხადეს რაც რომ ჭირია.
ნადავლიც მოაქვთ ღილღოდან
მათთვის სასყიდლათ ძვირია;
ხევსურსა ხმალი უხარის,
თქვა, — ქაჯეთს გაკვერილია,
გუდამაყრელსა მაჟარი, —
ესეც მათივე ქმნილია;
აგრე ახარებს ნადავლი, —
იმათთვის ჭირიც ლხინია.
არხოტში აღარ მიიქცნენ,
ჩოხისკენა ქნეს პირია,
იმ დღე ღამესა ძალზედ ვლეს,
ერთ წუთს არ დაუძინია;
წინ მიეგება გულბათა
ბერას, მის ბიძაშვილია,
ეგრეევე სხვა ჯალაბობა,
მისი მშობელი ტკბილია;
მოსულებს სალამს აძლევენ
თორღა, ბეწინა, ნინია:
მუდამამც მტერზედ იხარებთ,
თამარიძე და ბერაო,
გიშველოთ ჩოხის გიორგიმ,
ხახმატის ჯვარმაც თქვენაო,

*) ქუჩა კუნძივით კორდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა დიდმა პირი მზემაც, —
არც მან დაგაკლოთ შველაო,
იმათმა ლახტმა თქვენს მტერსა
თვალებიმც დაუყენაო. —
სხედან, პურს შეექცევიან,

გ. პ. მესხი

(მოსკოველ მხატვართა სურათების გამოფენის გამართვის გამო. იხ. „დროება“, № 95)

არაყს ჰსმენ ნელა-ნელაო;
თამარიძე და ბერაი
სუყველამ ადღეგრძელაო.
სადილი მორჩა, ღამდება,
ორივემ მოისვენაო;
მას ღამეს თამარიძემა
ბერასთან გაათენაო.
დილასა თამარიძემა
პირჯვარი გადიწერაო;
ჩოხიდან გამაყმართა
თავიანთ ქვეყნისკენაო.
გამაესალმა ბერასა:
მშვიდობით ნახვამდენაო,
ერთ-ურთი ღმერთმა გვიჩვენოს
კეთილად მრავალჯერაო.
ამინ, გისმინოს უფალმა,
მიკოცხლოს შენი თავია,
მალ-მალ მოგივალ, ძმობილო,
არ დავჰყო დიდიხანია, —
ამ საუბარმა გაჰყარა
შეფიცებული ძმანია.
თამარიძემ არხოტისკენ
გადაიარა მთანია;
არხოტს მივიდას რა ნახეს
ხევსურთა მისი ხმალია,
რამდენიც ნახავს, — გაჰკვირდეს,
სიხარულისგან მთვრალია.
„ალა ლალაი“ ვაჟებო,
ვისი ხელქმნილი არია?
ნეტავ არ ეწერებისა
ოსტატის სახელ-გვარია?
ეს თუ იქნების წარწერა, —
ზედ რამე ნახაზავია.
ვინ წაიკითხავს ამასა,
რაი რა რჯულისანია?
თამარიძეს და ბერასა
შაჰრჩეს სათოფე თვალია, —
ბევრჯველამც შაჰღებს თქვენ ხმალსა
მტრის სისხლის ნაპერწკალია.
გუდამაყრელთაც გაშინჯეს
გუასეული მაჟარი,
მისეულივე ყაწიმი,
მისი ლეკური ხანჯალი.
თოფისას ამას ამობენ:
ჯერ არ გვინახამს ამგვარი;
კონდახზედ ასხმული ჰქონდა
ლალი, ფირუზი ნათალი;
მნახველსა ნახვა ანცვიფრებს,
ქებას არა აქვს სამზღვარი.
ქისტებმა შვილნი მოგვტაცეს,
რა დარჩათ ამის ბადალი,
ჩამაიმტერეს ბერაი,
ვაჟი რას არგებს, ან ქალი!
მთის ვეფხვმა მათივე თოფით
დაუნიავა ნაცარი.
თამარიძე და ბერაი
ადენდნენ სისხლის ღვარსაო,
რაც წინათ ქისტებმა ჩაგრეს,



ს. კ. არაძელიანი

(მოსკოველ მხატვართა სურათების გამოფენის გამართვის გამო. იხ. „დროება“, № 95)

იყრიან იმის ჯავრსაო,
ბევრჯველ უტირეს დედები
ღილღოველების ჯარსაო,
ქისტებზედავე ჰხმაროობენ
მათეულს თოფს და ხმალსაო;
ბევრჯველ მიეჭრნენ სოფლადაც,
ცხვარივით სჭრიან თავსაო.
შაწუხდნენ ქისტნი, დაშინდნენ,
არა სცდებიან კარსაო, —
რომ არ მოეკლა ბერაი
ბიძაშვილს გულბათასაო.
შემოუთვალეს ქისტებმა,
დავიდებთ ბეგარასაო,
თუ დაგვეხსნებით, გეყმობით,
სამტროთ ნუ გაგვცემთ ხმასაო;
მოგართმევთ ჩვენის ხელითა
ყოველ წლივ ორმოც ცხვარსაო;
ბიძაშვილთ კი ველარ მოგცემთ,
ვერ გავაცოცხლებთ მკვდრებსაო;
არ დაჰყაბულდა ბერაი,
მაგიერსა თხოვს სხვასაო,
სადაც შეჰხვდიან ქისტებსა,
დაუბნელებდის თვალსაო.
შაყრილან ქისტნი ღილღველნი
ბერასთან წასასვლელადა,
ტანზედ შეუსხამთ აბჯარი
მათ სისხლში მოსასვრელადა.
შამოუთვალეს ქისტებმა
თამარიძეს და ბერასა:
მშვიდობის მოციქულს ვგზავნით,
სიტყვას უკანასკნელადა.
ეგეცა კმაარს, ბერაო,
რაც გვიყავ შასარ კხვენლადა,
დიდი მოგვეცით ზიანი
შარშან და წლეულ-წელადა;
თუ გული გიცემსთ ისევა
თავისა ჩვენის მტერადა,
ქართლის და ჩეჩენს სამზღვარსა
გამოდით საბრძოლველადა,
მთიელ-ღილღველ მახლობელად,
კავკასის მთისა წვერადა.
ომშიგან წვევა ძმობილთა
იამა საკვირველადა.
შესთვალეს: „ომი გვირჩევნისთ,
მოგივალთ საბრძოლველადა,
შვიდამდე ომი გავმართოთ,
დროს ნუ გავიყვანთ გრძელადა“.
ესე პასუხი მოციქულთ
მიართვეს მათსა მრიგესა;
მშვიდობას ომი ირჩიეს,
ამაყსა სიტყვას სთქმიდესა;
გარისხდნენ ქისტნი ღილღველნი,
საჭურველს ხელი ჰკიდესა;
ჭაბუკნი, ახალგაზრდანი
შაყრასა ინატრიდესა;
გავეხმლნეთ ბერას პირის-პირ,
„ღმერთო, დაგვასწარ იმ დღესა!“

ალექ. ციმაკურიძე

(მოსკოველ მხატვართა სურათების გამოფენის გამართვის გამო. იხ. „დროება“, № 94)

ჭალარათ უთხრეს ახლებსა,
სარტყელსა ხელი ჰჭიდესა:
„ორას სულ ცხვარსა მიიღებს,
ვინც ბერას მოგვიკლიდესა,
აგრეთვე თამარიძესა,
მის თავს ხელს მოგვართმიდესა;
ბრძოლის ველს ვინც უკუ იქცეს,
დიაცის კაბა სცმიდესა“.
ვაი მეომარ ტურათა,
მგლების მტრად გადამკიდეთა;
ამა ომისა მხილველნო,
ტურათა ტყავსა ჰხდიდეთა;
ვინცა არ იცის, ძნელია, —
კაცი კაცს ელოდებიან,
მტროობითა, ანუ მოყვრობით
ნახვაი ენატრებიან.
წუთნი, ჟამნი და საათნი
ერთ საუკუნოდ ხდებიან,
რამდენიც ჟამნი გარბიან,
იმდენ დღე დაგვეთვლებიან“.
სუფრა აიღეს, სტუმარნი
გარეთავ გამოდგებიან;
სამნი ხევსურნი, სამნიცა
გუდამაყრელნი ხდებიან.
ტანთ ისხმენ აბჯარ-მუზარადს,
საომრათ ემზადებიან.
ბიძაშვილი და მის ცოლი
ბერასა ეუბნებიან:
„სისხლის ღვარს თავი ანებე,“—
ხვეწნითა ეხვეწებიან;
ნულარ აბრაზებ ქისტებსა,
მოვლენ, თავს დაგვესხმებიან,
ჩვენც წაგვიყვანენ ტყვეებად,
შენ კი ვერ გაგეხრმლებიან“.

შემდეგი იქნება.

ი. კარგარეთელი

ბალირ-ხანი,

სათარ-ხანის თანაშემწე.

ტურა ვერა სძლევს რუხ მგელსა,
მგელი მგლის სისხლსა ჰღვრიდესა.
ორშაბათს სოფელ ჩოხისკენ
მიდიან სამნი მგზავრნია,
შავხედეთ, სამნივ ვიცანით,
სამანივ ხევსურანია;
ერთაი თამარიძეა.
ორანივ კიდევ სხვანია,
წინ მიეგებნენ ჩოხელნი
წმინდის გიორგის ყმანია,
ერთ-ურთსა მისცეს სალამი,
როგორც ნაფიცი ძმანია.
ბერამ თქვა: „თქვენი აქ მოსვლა
ჩემთვის სალხენად კმარია;
მობრძანდით, განისვენენით,
ვიპუროთ მცირე ხანია“.
შინ შახდენ, გაუმასპინძლდა
ბერას ცოლი და დანია.
სტუმართა პური გატეხეს,
ახსენეს ღვთისა ძალია;
მსუბუქად შესვეს-შეჭამეს,
არ დაიტანეს ძალია.
„ბერავ, სასწრაფო საქმე გაქვს,
გრძელი გაგვიდის გზანია,
განა შენთან ხლება გვწყინდეს!
არ მოკვდეს ჩვენი თავია!
ხვალ დილას ღილღველნი მავლენ,
სად დანიშნული მთანია“.

„მართალსა უბნობთ, ძმობილნო,
დია, მეც მესწრაფებიან!

სპარსელი ფიდაები

წვრილი ამბები

ნამდვილი ველურები. ჟურნალ „ტრაველ ექსპლორასიონის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია საინტერესო ამბები ახლად აღმოჩენილ ველურების შესახებ. ავსტრალიაში კვინსლენდის (კვინსლენდი ავსტრალიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი კუთხეა) ნაპირების მახლობლად მდებარეობს ერთი კუნძული. კვინსლენდი და მთლად ავსტრალია ინგლისის ახალშენია. დიდი ხანია იცოდნენ, რომ ხსენებულ კუნძულზე ველურები სცხოვრობენ, მაგრამ იქ შესვლას და ველურებთან საქმის დაჭერას ვერავინა ჰბედავდა, რადგან ველურები ყველას მაგრა უხვდებოდნენ და ცივად ისტუმრებდნენ. კუნძული პატარაა და იმის ძალით აღებას და ველურების დამორჩილებას არავინა ფიქრობდა, ამიტომ იყვნენ და სცხოვრობდნენ თავიანთვის ველურები. ეხლა ავსტრალიის მთავრობის ერთ მოხელეს მოტყუებით და ეშმაკობით მოუხერხებია თურმე ამ კუნძულზე გადასვლა და იქ ველურებთან დაახლოვება. კუნძულის მცხოვრებნი ნამდვილი, პირველ-ყოფილი ველურები გამომდგარან: მათ არავითარი წარმოდგენა არა ჰქონიათ არც სახლებზე, არც პურზე, არც ხორცზე, არც შაქარზე, არც თამბაქოზე და არც სხვა რამ ამისთანაზე. ეს ველურები იკვებებიან თურმე ზოგიერთ მცენარეთა ძირებით, ხეების ნაყოფით და თევზით. თევზს უმათა სჭამენ. ყველანი ჯანმრთელნი და ჯან-საღნი ყოფილან. არავითარი ავადმყოფობა და სენი მათ შორის არა ყოფილა გავრცელებელი.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი მ. დ. კიკნაძისა. ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.